



საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური  
ცენტრი  
თანადგომა

საქართველო, თბილისი, 0179  
ჭავჭავაძის გამზირი 44, P.O. Box 241  
ტელეფონი/ფაქსი: (+955 32) 2352132,  
E-mail: [center@tanadgoma.ge](mailto:center@tanadgoma.ge)  
[www.tanadgoma.ge](http://www.tanadgoma.ge)

## კორუფციის და თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკა

დამტკიცებულია: ორგანიზაციის გამგეობის მიერ  
თარიღი: 6 თებერვალი 2014

თანადგომა არ არის ტოლერანტული თაღლითობისა და კორუფციის მიმართ. ყველა თანამშრომელსა და პარტნიორს მოეთხოვება, დაემორჩილოს ამ პოზიციას. ეს პოლიტიკა ეხება თანადგომას ყველა თანამშრომელს, აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორების და გამგეობის წევრების ჩათვლით, და ასახავს იმ სტანდარტებს, რომელთა შესრულებაც მოეთხოვება თანადგომას თანამშრომლებს ან წარმომადგენლებს, როდესაც ისინი თანადგომას სახელით მოქმედებენ.

### ტერმინების განსაზღვრება

„კორუფცია“ ნიშნავს რაიმე ღირებულის (ფული, საჩუქრები, სამსახურეობრივი პოზიციები და სხვა) შეთავაზებას, გადაცემას, მიღებას ან მოთხოვნას მეორე მხარის მოქმედებაზე არასათანადო ზეწოლის ან პირადი გამორჩენის მიზნით.

„თაღლითობა“ ნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომელიც განიზრახავს მეორე მხარის მოტყუებას ფინანსური თუ სხვა სარგებლის მიღების ან ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით.

### პოლიტიკა

1. თანადგომა არ მონაწილეობს კორუფციის აქტებში, არ იძლევის ან იღებს ქრთამებს პირდაპირ ან ირიბად.

თანადგომა უკრძალავს თავის თანამშრომლებს კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობას, ქრთამის და არამართლზომიერი საკომისიოს მიცემას და აღებას საჯარო და კერძო პირებისთვის და პირებისაგან, როგორცაა იმ კომპანიების და ორგანიზაციების თანამშრომლები, რომელთანაც თანადგომას საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს.

თანადგომას თანამშრომლებს ეკრძალებათ მესამე მხარისაგან მიღება ან მისთვის შეთავაზება საჩუქრების, ჯილდოსი, არამართლზომიერი საკომისიოსი ან სხვა წახალისების, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს

თანადგომას მიუკერძოებლობაზე და თანადგომას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ან რამაც, შესაძლოა, ორგანიზაციის საქმიანობების არასათანადოდ შესრულება გამოიწვიოს.

წარმომადგენლობითი ხარჯები (იმ ფარგლებში, როგორც განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით) არ განიხილება ქრთამად, საჩუქრად ან სხვა წახალისებად თანადგომასაგან.

2. თანამშრომლები უნდა მოერიდონ სიტუაციებს, რომლებშიც მათი პირადი ინტერესები შესაძლოა კონფლიქტში მოვიდეს ორგანიზაციის ინტერესებთან. თანამშრომლებმა უნდა გაუმჟღავნონ ნებისმიერი არსებული ან მოსალოდნელი პირადი ინტერესთა კონფლიქტი თავის უშუალო ხელმძღვანელს ან გამგეობას.
3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მაღალფასიან შესყიდვებს. 15000 ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ოფიციალური სატენდერო პროცესი. 1500 – 15000 ლარის ღირებულების ინტერვალში მყოფი შესყიდვების შემთხვევაში აუცილებელია ორი ან მეტი ღირებულების შემოთავაზების მიღება მომწოდებლისაგან (იხილეთ „ფინანსური პროცედურებისა და პოლიტიკის სახელმძღვანელო“).
4. თანადგომას აღმასრულებელმა და ფინანსურმა დირექტორებმა ყოველწლიურად უნდა გადახედონ ორგანიზაციის ფინანსური მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურებს კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკასთან მათი შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, თანადგომა მოითხოვს პარტნიორი ორგანიზაციებისაგან, რომ მათ იქონიონ კორუფციის და თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკა. თუ პარტნიორ ორგანიზაციას არ აქვს ასეთი პოლიტიკა, თანადგომა მოითხოვს პარტნიორისაგან, რომ ხელი მოაწეროს შეთანხმების დოკუმენტს წინამდებარე პოლიტიკასთან დაკავშირებით.
5. თანადგომა პოლიტიკურად ნეიტრალურია; ის არ აკეთებს დონაციას რომელიმე პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის თუ პოლიტიკაში ჩართული პირებისათვის. თუმცა, თანადგომა ითანამშრომლებს სახელმწიფოსა და სხვა ოფიციალურ ორგანოებთან იმ პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს თანადგომას ექსპერიტის სფეროზე.

თანამშრომლებს აქვთ უფლება, ჰქონდეთ თავისი პირადი პოლიტიკური ხედვა და აქტივობა, მაგრამ მათ არ უნდა გამოიყენონ თანადგომას საკუთრება ან აღჭურვილობა ამ ხედვების პროპაგანდირებისათვის, ასევე არ უნდა დააკავშირონ თავისი ხედვები თანადგომას ხედვას.

## **პასუხისმგებლობები**

თუ თანამშრომელს ხელი მიუწვდება ინფორმაციაზე, რომ განხორციელდა თანხის არასათანადო გადახდა, ან მისი ავტორიზაცია, ან მესამე პირს ასეთ რაიმეს შეიპრდნენ, ან რომ მოხდა კორუფციისა და თაღლითობის საწინააღმდეგო მოქმედი პოლიტიკის სხვა ნებისმიერი დაღვევა, ამ პიროვნებამ უნდა შეატყობინოს მის უშუალო ხელმძღვანელს, აღმასრულებელ დირექტორს ან ორგანიზაციის გამგეობას. იმ პიროვნების ვინაობა, რომელიც აღმოაჩენს და გამოამჟღავნებს კორუფციის ან თაღლითობის ფაქტს, კონფიდენციალური ინფორმაციაა.

თანადგომას აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია ორგანიზაციის ზოგადი შესაბამისობის მონიტორინგზე კორუფციის და თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკასთან.

ორგანიზაციის გამგეობას შეუძლია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს კორუფციის ან თაღლითობის შესახებ. გამგეობა პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანაზე. დაუშვებელია ამ პოლიტიკისაგან რაიმე გადახვევა ან მასზე უარის თქმა.

## **პოლიტიკის დარღვევის შედეგები**

კორუფციის ნებისმიერ ფორმას მოყვება დაუყოვნებელი შიდა გამოძიება და შესაძლებლობის ფარგლებში, შეჩერება. იმ პერსონალის შესახებ, რომელიც აღმოჩნება დამნაშავე მექრთამეობაში, კორუფციასა თუ თაღლითობაში, ეცნობება ყველა სხვა თანამშრომელს პრევენციული მიზნებისათვის. ეს პერსონალი დაექვემდებარება დისციპლინარულ სანქციებს. ყველა შემთხვევაში, დისციპლინარული სანქცია მოიცავს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

## **შიდა კომუნიკაცია**

კორუფციის და თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკა მიეწოდება თანამშრომლებს შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წერილობითი სახით და ასევე განმარტებული იქნება ზეპირად. პოლიტიკის დოკუმენტი უნდა გამოქვეყნებულ იქნას ორგანიზაციის ვებგვერდზე.

## **გარე კომუნიკაცია**

კორუფციის და თაღლითობის ყველა ფაქტი ან ეჭვი მათზე უნდა ასახულ იქნას ანგარიშში, რომელიც ასახავს საკითხის სიმწვავესა და მასშტაბს, ასევე, ამ ფაქტის შემდგომ განხორციელებულ ქმედებებს. ყველა ანგარიში უნდა გაგზავნილ იქნას დონორ ორგანიზაციასთან, პარტნიორ ორგანიზაციასთან და, მოთხოვნის საფუძველზე, უნდა მიეწოდოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.